



1. შეავსეთ გაფერადებული არეები გამოტოვებული ათწილადებით, წილადებით, პროცენტებითა და სქემებით:

1 ქულა თითო პასუხში	სულ:
---------------------	------

Decimal	Percentage	Fraction	Graphic
	80%		
0,75		$\frac{3}{4}$	
			
		$\frac{1}{6}$	

2. იპოვეთ გამოსახულების მნიშვნელობა:


2 ქულა თითო საკითხში	სულ:
----------------------	------

a)  $\frac{2}{5} - \frac{4}{3} \cdot \left(-\frac{9}{8}\right) =$

b)  $\frac{3}{5} - 3 + \frac{13}{6} =$

3. ტომარაში 2 თეთრი და 3 შავი ბურთულია. რამდენი პროცენტია იმის ალბათობა, რომ პირველივე ცდაზე ტომრიდან თეთრი ბურთული ამოვიდეს?

3 ქულა	სულ:
--------	------



50%

40%

60%

20%

4. ბოთლი და ჭიქა ერთდროულად იწონის 104 გრ-ს. ბოთლი 100 გრ-ით მძიმეა ჭიქაზე. რას იწონის ჭიქა?

3 ქულა	სულ:
--------	------

5. გამოთვალეთ გამოსახულების მნიშვნელობა:

3 ქულა	სულ:
--------	------

$$\frac{\frac{3}{2} \cdot [\sqrt{(57-8)} - 24 \div 8] + 6}{\frac{1}{7} \cdot 28 - \frac{7}{2}} =$$

6. სადილზე თქვენ 5 ადამიანი დაითვალეთ. თუკი ხუთივე ერთმანეთს ჩამოართმევს ხელს, სულ რამდენი ხელის ჩამორთმევა გამოვა?

3 ქულა	სულ:
--------	------

- 5     
  9     
  10     
  20     
  25



7. გამოთვალეთ:

2 ქულა თითო პასუხში	სულ:
---------------------	------

- a) 2000-ის რამდენი პროცენტია 22 →  
 b) 20 მილის რამდენი პროცენტია 8 →


8. პირველ სტრიქონში ოთხი ფიგურა გარკვეული წესითაა დალაგებული. ქვედა სტრიქონიდან რომელი ფიგურა შეავსებს ზედა სტრიქონში გამოტოვებულ ადგილს იმავე წესის დაცვით?

3 ქულა	სულ:
--------	------



9. სასწორი გაწონასწორებულია. რას იწონის თითოეული ელემენტი?

4 ქულა	სულ:
--------	------



10. დალაგე გამოსახულებების მნიშვნელობები (მაგალითად ასე:  $A < B < C < D$ ).

4 ქულა თითო პასუხში	სულ:
---------------------	------

a)  $A = 10\%$  ;  $B = \frac{0,5}{50}$  ;  $C = 0,001$ ;  $D = \frac{1}{25}$  → \_\_\_\_\_ < \_\_\_\_\_ < \_\_\_\_\_ < \_\_\_\_\_

b)  $A = \left(\frac{3}{4}\right)^2$  ;  $B = \frac{3^2}{4}$  ;  $C = \frac{3}{4^2}$  ;  $D = \frac{3}{4}$  → \_\_\_\_\_ < \_\_\_\_\_ < \_\_\_\_\_ < \_\_\_\_\_

11. ბანკის წლიური საპროცენტო განაკვეთია  $i = 6\%$ . რა თანხას მიიღებთ(პროცენტებში), თუ დახურავთ ანგარიშს:

2 ქულა თითო საკითხში	სულ:
----------------------	------

- a) 1 წელიწადში?
- b) 2 წელიწადში, თუ პირველი წლის ბოლოს ხდება სარგებლის კაპიტალიზაცია?
- c) 4 თვეში?

12. გამოთვალეთ ახალი ფასი, თუ საწყისი 60 EUR ჯერ გაიზარდა 15%-ით, ხოლო შემდეგ შემცირდა 15%-ით.

3 ქულა	სულ:
--------	------

13. მოცემულ ცხრილებში რიცხვები გარკვეული კანონზომიერებითაა ჩაწერილი, თითოეულ ცხრილში ჩაწერეთ გამოტოვებული რიცხვი ისე, რომ კანონზომიერება არ დაირღვეს:

3 ქულა თითო  
საკითხში

სულ:

a)

7	10	3
4		0
1	-2	-3

b)

3		27
-2	4	-8
1	1	1